

ისტორია 11 ● ისტორიის სახელმძღვანელო მეტიერთმეტეკლასელთათვის

ნინო კილურაძე, გიორგი სანიკიძე, ლევან გორდეზიანი,
ლალი ფირცხალავა, რევაზ გაჩეჩილაძე, ნოდარ ასათიანი

11

ისტორია

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012)



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

უძველესი ადამიანი. პირველყოფილი საზოგადოება

I
თავი




1.	თეორიები ადამიანის წარმოშობის შესახებ (კრეაციული და ევოლუციური)	8
2.	უძველესი ადამიანი (განვითარების ანთროპოლოგიური საფეხურები, დმანისის აღმოჩენები და მათი მნიშვნელობა)	12
3.	სოციალური სტრუქტურები: გვარი, თემი. პირველყოფილი რელიგია და ხელოვნება. „სოციალურ-ეკონომიკური“ სისტემა	16
4.	პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ეტაპები მსოფლიოსა და საქართველოში	21




ძველი მსოფლიო






II
თავი

5.	სახელმწიფოს წარმოშობა. თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ	26
6.	სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლები	31
7.	უძველესი სამდინარო ცივილიზაციები. ეგვიპტე	36
8.	უძველესი სამდინარო ცივილიზაციები. შუმერი და ბაბილონი	41
9.	ასურეთი, ხეთები, ურარტუ	44
10.	უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები ძველალმოსავლურ ხანაში	52
11.	სახმელეთო იმპერია. აქემენიანთა ირანი (ძვ.წ. VI-IV სს.)	58
12.	საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და კოლონიზაცია	66
13.	საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. ბერძნული პოლისები, სახელმწიფოს მმართველობის ფორმები	69
14.	საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და მისი შედეგები	76
15.	საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. ბერძენ-სპარსელთა ომები	84
16.	საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. ათენის კავშირი – პირველი საზღვაო „იმპერიის“ შექმნის მცდელობა	88
17.	საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. პელოპონესის ომი	92





- 18. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, ელინიზმი და ელინისტური სახელმწიფოები **97**
- 19. ქართული სახელმწიფოები ელინისტურ ხანაში **104**
- 20. რომის წარმოშობა; რომაული საზოგადოება, სახელმწიფო წყობა – მეფობა/რესპუბლიკა **109**
- 21. რომაული დაპყრობები. რესპუბლიკის დაცემა **113**
- 22. რომი იმპერიის ეპოქაში **120**
- 23. რომის იმპერია და საქართველო. რომის ურთიერთობა პართიასთან და სასანიანთა ირანთან **124**



შუა საუკუნეები

- 24. რომი და „ბარბაროსული სამყარო“, ცვლილებები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში **131**
- 25. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. აღმოსავლეთ რომის იმპერია – ბიზანტია **135**
- 26. ქრისტიანობა – მსოფლიო რელიგია. ქრისტიანობის ჩამოყალიბება და გავრცელება **145**
- 27. ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოში. მსოფლიო საეკლესიო კრებები და საქართველო **152**
- 28. ქართლი V საუკუნეში. ვახტანგ გორგასალი **158**
- 29. ბიზანტია და ირანი VI საუკუნეში **165**
- 30. საქართველო VI საუკუნეში **170**
- 31. ფეოდალიზმი ევროპაში **176**
- 32. პაპიზმი. ეკლესია და ძალაუფლების ლეგიტიმაცია **187**
- 33. შუა საუკუნეების ევროპის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება **195**
- 34. ფეოდალიზმი საქართველოში **203**
- 35. განათლება და მეცნიერება. „უნივერსიტეტების ხანა“ ევროპაში **211**
- 36. შუა საუკუნეების წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები **220**
- 37. ბრძოლა გავლენისთვის ქრისტიანულ სამყაროში. ბიზანტია VII-XII საუკუნეებში **225**
- 38. ბრძოლა გავლენისთვის ქრისტიანულ სამყაროში შუა საუკუნეებში. „იმპერიის გადატანა“ **231**




საქართველო და ახლო აღმოსავლეთი
VII-XV საუკუნეებში


IV

თავი


39.	არაბები და ისლამური სახალიფო	236
40.	სახალიფოს კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება	248
41.	არაბთა ბატონობა საქართველოში	255
42.	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კულტურა VIII-IX საუკუნეებში	259
43.	ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება	266
44.	ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობები	272
45.	თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო	276
46.	თურქ-სელჩუკები და საქართველო	286
47.	დავით აღმაშენებლის რეფორმები	290
48.	დიდგორის ბრძოლა	295
49.	თამარ მეფის ეპოქა	301
50.	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება თამარ მეფის ეპოქაში	309
51.	ჯვაროსნული ეპოქა	314
52.	მონღოლთა დაპყრობები და მისი შედეგები	325
53.	საქართველო XIII საუკუნეში. მონღოლები საქართველოში	333
54.	ქართული სახელმწიფოს დამლა	343
55.	კონსტანტინოპოლის დაცემა	349




236




249




260



286



327



346

ევროპა და ამერიკა ახალ დროში


V

თავი


56.	რენესანსი და ჰუმანიზმი. აღორძინების ევროპული ცენტრები	356
57.	ახალი სამიმოსვლო გზებისა და კონტინენტების აღმოჩენა	362
58.	კოლუმბამდელი ამერიკა	367
59.	კოლონიური ეპოქის დასაწყისი	373
60.	რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია	378
61.	რელიგიური ომები	384
62.	ჰოლანდიის რევოლუცია და მისი მნიშვნელობა	392
63.	XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია	395
64.	აბსოლუტიზმი	402
65.	შვიდწლიანი ომი ევროპაში	410



365




371



382



398




411

- 66. განმანათლებლობა 415
- 67. ამერიკის კოლონიზაცია და აშშ-ის შექმნა 422
- 68. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. „ძველი რეჟიმის“ კრიზისი და აგონია 427
- 69. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. რევოლუციის დასაწყისი 434
- 70. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. მონარქიის დამხობა და პირველი რესპუბლიკა 444
- 71. ინდუსტრიული რევოლუცია 454

**საქართველო და მისი მეზობლები
XVI-XVIII საუკუნეებში**



459



475




489




495

- 72. ბრძოლა ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ ევროპასა და აღმოსავლეთში 458
- 73. სეფიანთა ირანის სახელმწიფო 464
- 74. რუსეთის გამოჩენა მსოფლიო ასპარეზზე და რეჩ-პოსპოლიტა 468
- 75. პეტრე I-ის საგარეო პოლიტიკა და რეფორმები 474
- 76. საქართველო XVI საუკუნეში 478
- 77. აღმოსავლეთ საქართველო შაჰ აბას I-ისა და მისი მემკვიდრეების მმართველობის დროს 485
- 78. საქართველო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის XVII საუკუნეში 493
- 79. საქართველო XVIII საუკუნის I ნახევარში 499
- 80. საქართველო XVIII საუკუნის II ნახევარში. საგარეო ორიენტაციის საკითხი 505
- 81. საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან. გეორგიევსკის ტრაქტატი 512



504



517



1. თოკიანი ადამიანის ნაკომოზის შესახებ (ქრისტიანი და ევოლუციური)

ადამიანს ყველა რელიგია ღმერთის ქმნილებად მიიჩნევს. ძველ სამყაროს მრავალ რელიგიაში ადამიანი ღმერთმა (ან ღმერთებმა) შექმნა თავის დამხმარედ და მსახურად. „ძველი აღთქმა“ და ის მსოფლიო რელიგიები, რომლებიც მას ეფუძნებიან, ადამიანს ღმერთის ხატად, მსგავსად მიიჩნევენ.

„ძველი აღთქმისეული“ სამყაროსა და ადამიანის შექმნის ამბავი ჯერ კიდევ ძველი დროის მეცნიერთა დისკუსიის საგნად იქცა. ცხადია, ყველა დროში არსებობდნენ ტექსტის სიტყვასიტყვით გაგების მომხრეები. ახ.წ. I საუკუნის მოღვაწემ, ფილონ ალექსანდრიელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „ბიბლიის“ ზოგი პასაჟი ამგვარად ესმის იმ მკითხველს, ვისაც უჭირს უფრო ღრმა არსის წვდომა. მაგალითად მას მოჰყავს მოსეს სიტყვები იმის შესახებ, რომ ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ თხრობა გასაგები და მოწესრიგებული ყოფილიყო, ხოლო რეალურად ეს აღნიშნავდა შესაქმნის ერთდროულ და ყოვლისმომცველ აქტს.

აქედან მოყოლებული, საეკლესიო მოღვაწეებში არ არის ერთსულოვნება შესაქმნის ინტერპრეტაციისას. მართალია, ისინი აღიარებენ სამყაროსა და ადამიანის შექმნას ღმერთის მიერ, მაგრამ ღვთაებრივი შემოქმედების თანმიმდევრობას და ექვს დღეზე განაწილებას მრავალი მათგანი, მაგალითად ორიგენე (III ს.) და ბასილი დიდი (IV ს.), ერთგვარ ალეგორიად მიიჩნევენ. ამ პასაჟის სიტყვასიტყვითი გაგების მომხრეთა შორის იყვნენ, მაგალითად, რეფორმაციის მამები – მარტინ ლუთერი და ჟან კალვინი.

ახალი დროის გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, აგრეთვე ცოდნამ, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა სფეროში დაგროვდა, ამ თემებზე დისკუსიას ახალი სული შთაბერა. თუმცა, თითქმის საყოველთაოდ იყო გაზიარებული მოსაზრება, რომ ღმერთმა სათითაოდ შექმნა ცოცხალ არსებათა თითოეული სახეობა. 1605 წელს ფრენსის ბეკონმა გამოთქვა აზრი, რომ ღმერთის ქმნილებები ბუნებაში გვასწავლის „ბიბლიაში“ ღმერთის სიტყვის გაგებას, რაც განმსაზღვრელ მეთოდად იქცა მის

წყარო 1

ძველევგვიპტური ტექსტიდან სამყაროს შექმნის შესახებ:

„წარმოიშვა გულით და ენით ატუმის სახე. დიდა პტახი, რომელიც ქმნის ღმერთებს და მათ კას (= ღმერთებისა და ადამიანების სულიერი ორეული) ამ ენით, ამ გულით. წარმოიშვა ხორი მისგან — პტახისგან, წარმოიშვა თოტი მისგან — პტახისგან, გული და ენა ბატონობენ ყველაფერზე, რადგან პტახი არის ყოველ სხეულში, ყოველ ღვთაებაში, ყოველ ადამიანში, ყოველ მწერში, რომლებიც ცოცხლობენ მისი იდეით და ბრძანებით... პტახი ყოველი გადაწყვეტილების მიზეზს წარმოადგენს... ენა იმეორებს გულის აზრს. ასე შეიქმნა ყველა ღვთაება... ასე მიეცა სიცოცხლე კეთილს და მიეზლო სიკვდილი დამნაშავეს, ასე შეიქმნა სამუშაოები და ხელოვნება, ხელის შრომა, ფეხის სიარული... მან შექმნა ღმერთები, შექმნა ქალაქები, დააარსა ნომები, გაანაწილა ღმერთები თავიანთ საკულტო ადგილებში, დააწესა მათი შესაწირავი, დააარსა მათი ტაძრები“.

წყარო 2

ბიბლია. დაბადება 1. 26-31.

- 26. თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახობავს.
- 27. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.
- 28. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახობავს.
- 29. თქვა ღმერთმა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენნი საზრდო.
- 30. მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყველა ქვემძრომს, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას, მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად. და იქმნა ასე.
- 31. დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო. იყო საღამო, იყო დღილა — მეექვსე დღე.

თანამედროვე მეცნიერებაში. მეცნიერები ბუნებასა თუ წარსულის ნაშთებში ეძებდნენ „ბიბლიაში“ აღწერილ მოვლენათა, პირველ რიგში, წარღვნისა და ნოეს კიდობანის დადასტურებას.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება იდეები სახეობათა ცვლილების შესახებ. ჩარლზ დარვინმა ჩამოაყალიბა თავისი თეორია ბუნებრივი გადარჩევის შესახებ. მის პუბლიკაციებს 30-იან და 40-იან წლებში დიდი გამოხმაურება, მაგრამ ამასთანავე სამეცნიერო წრეების კრიტიკა მოჰყვა. 1859 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „სახეობათა წარმოშობის შესახებ“, სადაც საკმაოდ დიდი მასალა და არგუმენტაცია ჰქონდა მოტანილი სახეობათა ბუნებრივი გადარჩევის, ევოლუციური გზით წარმოშობის დასადასტურებლად. ნაშრომმა მნიშვნელოვანი ძვრა გამოიწვია საზოგადოებრივ აზრში და საფუძველი ჩაუყარა ჭიდილს ევოლუციურ და კრეაციულ (ან კრეაციონისტურ) თეორიებს შორის.



უხეშად რომ ითქვას, დავა დაიყვანება კითხვა-მდე: „ადამიანი შექმნა ღმერთმა (ზებუნებრივმა ძალამ), თუ იგი წარმოიქმნა მაიმუნისაგან, თავისით, მეტ-ნაკლებად შემთხვევითი მიზეზით გამოწვეული ცვლილებების შედეგად?“
 დღემდე არსებობს ორივე უკიდურესი პოზიციის მიმდევრები. მაგრამ უკვე XIX საუკუნის II ნახევარში მეცნიერები დაფიქრდნენ მათ ერთგვარ მორიგებაზე.

ევოლუციონისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ღვთაებრივ ნებას შეიძლება მიეცა ბიძგი იმ პროცესებისათვის, რაც სამყაროში განვითარდა და რის აღწერაც მეცნიერებამ მოახერხა, მათ შორის, ადამიანის წარმოშობისთვისაც. მათთვის ეს რჩება რწმენის საკითხად, რადგანაც ვერ გაიზომება მეცნიერისათვის ხელმისაწვდომი საშუალებებით. საერთოდ, ის დაპირისპირება, ერთი მხრივ, რაციონალურ აზროვნებას, მეცნიერებასა და, მეორე მხრივ, რელიგიას, ეკლესიას შორის, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებში არსებობდა და ევროპაში რევოლუციური ხანის ათეიზმის ერთ-ერთი მასაზრდოებელი გახდა, დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში დაძლეულია და რწმენა და აზროვნება არამცთუ უშლიან ხელს ერთმანეთს, არამედ ერთგვარად ავსებენ კიდეც, როგორც ეს, მაგალითად, თუნდაც ქრისტიანობის გარიჟრაჟზე იყო.

აგრეთვე მათთვისაც, ვინც უცილობლად მიიჩნევს ღვთაებრივ შემოქმედებას, დღეს მთლიანად უგულებელყოფილი არ არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საშუალებებით დაგროვილი ცოდნა. ასე მაგალითად, კრეაციონისტთა ცალკეული სკოლის წარმომადგენლები აღიარებენ სამყაროსა და დედამიწის წარმოშობას რამდენიმე მილიარდი წლის წინ, აგრეთვე სხვადასხვა სახეობისა და, მათ შორის, ადამიანის გარკვეულ ევოლუციას.

დღეს კრეაციონისტთა მრავალი სკოლა არსებობს. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად პრინციპული საკითხებისადმი დამოკიდებულებით. ასე მაგალითად, „ახალგაზრდა დედამიწის კრეაციონისტები“ ფაქტობრივად „ბიბლიის“ სიტყვასიტყვითი გაგების პოზიციაზე დგანან. მათ საპირისპიროდ, „თეისტური ევოლუციის“ მიმდევრები, ფაქტობრივად, სრულად იზიარებენ დღევანდელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებს და ღმერთის როლს სამყაროს შექმნის ინიცირებაში (გამონწვევაში) ხედავენ. მათ შორის არის კიდეც მრავალი შუალედური მიმდინარეობა, რომელიც „ბიბლიის“ ცალკეული პასაჟისათვის თუ ბუნების ამა თუ იმ მოვლენისათვის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მაგ., ერთნი შესაქმის „ერთ დღეს“ ერთ ეპოქად იაზრებენ, რის საშუალებასაც იძლევა ებრაული ორიგინალის შესაბამისი სიტყვა; მეორენი ცალკეული სახეობის წარმოშობას „გონივრული ჩანაფიქრის“ შედეგად წარმოადგენენ და ასე შემდეგ.


თანამედროვე სამყაროში ამ თეორიათა მიღება-გაზიარება არათანაბრადაა განაწილებული. ყველაზე მეტი მომხრე ევოლუციონისტებს – სხვადასხვა გამოკითხვით, მოსახლეობის 70-80% დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰყავს. დასავლურ ცივილიზაციათაგან ყველაზე მეტი დასაყრდენი კრეაციონისტულ მიმდინარეობებს აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცხადია, იმ ქვეყნებშიც, სადაც „ბიბლია“ არ წარმოადგენს ძირითად რელიგიურ წიგნს, აგრეთვე ვხვდებით ჭიდილს ევოლუციონისტურ თეორიასა და ადგილობრივი რელიგიის შესაბამის კრეაციონისტულ თეორიებს შორის.

აშშ დიდი ხნის მანძილზე იყო ამ თეორიებს შორის მძაფრი ბრძოლის არენა, პირველ რიგში, სკოლაში მათი სწავლების გამო. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ძალზე გახმაურდა ე. წ. „მაიმუნის პროცესი“, რომელზეც სასამართლო არკვევდა, ჰქონდა თუ არა ახალგაზრდა ბუნებისმეტყველს სკოლაში დარვინის მოძღვრების სწავლების ნება. არცთუ შორეულ წარსულში აგრეთვე სასამართლოს განხილვის საგანი გახდა სხვადასხვა კრეაციონისტული მოძღვრების მეცნიერულობა და, შესაბამისად, მისი სკოლაში სწავლების უფლება.



კლასი საუზაო

1. შეადარეთ წყაროები ერთმანეთს. იპოვეთ განსხვავებები და მსგავსებები.
2. როგორი ახსნა მოუძებნა სამყაროს შექმნის შესახებ ბიბლიიდან პასაჟს ფილონ ალექსანდრიელმა და რა სახის დავა წამოიშვა შემდგომ საეკლესიო მოღვაწეებს შორის? დაახასიათეთ ორი მიმდინარეობის წარმომადგენელთა შეხედულებები.
3. რა არის ევოლუციონიზმი და როგორ ჩაეყარა მას საფუძველი? რომელ სასამართლო დავას ეწოდა „მაიმუნის პროცესი“ და რატომ?



ღმერთის მიერ ადამიანის შექმნა. მიქელანჯელოს ფრესკა



საშინაო დავალება

1. მოიძიეთ დამატებითი მასალა და წერილობით ჩამოაყალიბეთ ადამიანის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების ძირითადი მახასიათებლები.

2. უძველესი ადამიანი (ბანვითარების ანთროპოლოგიური საფეხურები, ღმანის ადმოქანები და მათი მნიშვნელობა)

პირველი „ადამიანები“

ევოლუციური თეორიის თანახმად, რასაც კრეაციონისტთა ზოგი მიმდინარეობაც იზიარებს, ადამიანი ბიოლოგიურად პრიმატების რიგს განეკუთვნება. მისი უახლოესი ნათესავები არიან ადამიანისმაგვარი მაიმუნები, რომლებიც, ადამიანთან ერთად დღეს ჰომინიდების ოჯახში ერთიანდებიან. ამ ოჯახის შიგნით კლასიფიკაცია უკანასკნელ ათწლეულებში არაერთხელ შეიცვალა. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც მეცნიერებს ხელთ აქვთ მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთები, რომელთა შესწავლა და ერთმანეთთან შედარება ძალზე გართულებულია.

ტრადიციულად, ჰომინიდებს უწოდებდნენ თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრებს და მათ მონათესავე სახეობებს. ყველა ეს სახეობა, თანამედროვე ადამიანის გარდა, გადაშენებულია.

ადამიანის მსგავსი არსებები – ჰომინიდები – აფრიკაში რამდენიმე მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.

უძველეს ნაშთად დღეს ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს 2001 წელს ჩადში, აფრიკაში აღმოჩენილ, 7 მილიონი წლის წინანდელ „ჩადის საჰელანთროპუსს“, რომელსაც ზედმეტსახელი „ტუმაი“ მისცეს. მან ჩამოართვა პირველობა მასზე 3-4 მილიონი წლით უფრო ახალგაზრდა ავსტრალოპითეკს, ზედმეტსახელად „ლიუსის“.

2,5 მილიონი წლისაა ჰომო ჰაბილისი – „მარჯვე ადამიანი“, ადამიანთა (homo) გვარის ჩვენთვის ცნობილთაგან ყველაზე ადრეული წარმომადგენელი, რომელიც ადამიანის უშუალო წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს. მას ადამიანისმაგვარი სხვა არსებებისგან გამოარჩევდა, პირველ რიგში, ტვინის ზომა. იგი არა მარტო იყენებდა სხვადასხვა საგნებს იარაღად, რასაც ზოგი ცხოველიც ახერხებს, არამედ თვითონ ამზადებდა ქვის პრიმიტიულ იარაღს. ამიტომაც ეწოდა „მარჯვე“.

მისი სავარაუდო შთამომავალი, ჰომო ერექტუსი – „გამართულად მოსიარულე ადამიანი“ დაახლ. 2-1,8 მილიონი წლის წინ გაჩნდა და მან თანდათან აითვისა ევრაზია. ზოგი მეცნიერი ამ სახეობის მრავალი ვარიაციის არსებობას ვარაუდობს, ზოგიც

ლექსიკონი

- † **ეკოსისტემა** – ცოცხალი ორგანიზმებითა და მათი საბინადრო გარემოთი წარმოქმნილი ბუნებრივი კომპლექსი
- † **უნივერსალური** – საყოველთაო, ყველგან მიღებული
- † **დიფერენციაცია** – ცალკეული ნაწილების გამოყოფა, დანაწევრება
- † **რეკონსტრუქცია** – აღდგენა
- † **პროტო** – წინა, ძველი
- † **გენეტიკა** – მეცნიერება ორგანიზმთა მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის კანონების შესახებ
- † **კომპონენტი** – შემადგენელი ნაწილი
- † **კომბინირებული** – სხვადასხვა ნაწილების გაერთიანებით შექმნილი